

ჯანმრთელი დროული
ახალშობილის მოვლა
სამშობიარო სახლში

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია

(გაიდლაინი)

კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) „ჯანმრთელი დროული ახალშობილის მოვლა სამშობიარო სახლში“ მიღებულია კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს 2008 წლის 5 ნოემბრის №1 სხდომაზე და დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის № 146/ო ბრძანებით.

ჯანმრთელი დროული ახალშობილის მოვლა სამშობიარო სახლში

დეფინიცია 12

ახალშობილის მოვლის პროცედურების ერთობლიობა, რომელიც ბავშვის დაბადებიდან ხორციელდება რუტინულად, განსაზღვრული თანმიმდევრობით.

ახალშობილის ადეკვატური მოვლის პრინციპების დაცვა მშობიარობის პირველი წუთებიდანვე მინიმუმამდე ამცირებს ახალშობილთა ავდობისა და მოკვდაობის რისკს.

ახალშობილის მოვლის ძირითადი მიზნები:

- ⇒ ახალშობილის ნორმალური ადაპტაციის ხელშეწყობა;
- ⇒ ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია;
- ⇒ მშობლებთან ურთიერთობის დარეგულირება.

ბაიფლანინი ბანკუთვნლია

- სამედიცინო პერსონალისთვის, რომელიც მუშაობს ახალშობილებთან სამშობიარო სახლში (განყოფილებაში) – ნეონატოლოგი, მეან-გინეკოლოგი, ოჯახის ექიმი, პედიატრი, ბებია-ქალი, ახალშობილის ექთანი.

ბაიფლანინის სამიზნე ჯგუფი:

- დროული ჯანმრთელი ახალშობილი ადრეულ ნეონატალურ პერიოდში.

სამშობიარო სახლში ახალშობილის მოვლის აუცილებელი პირობები და სტანდარტული პროცედურები

ბარემო 3-5,86,87

ახალშობილის პირველადი მოვლის პროცედურების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემო პირობების უზრუნველყოფა:

- სითბო და კარგი განათება - სამშობიარო ბლოკში ტემპერატურა არ უნდა იყოს 25⁰ C-ზე ნაკლები, არ უნდა იყოს ორპირი ჰაერის ნაკადი, კონდიციონერი;
- სამშობიარო ბლოკი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალშობილის მოვლისა და პირველი დახმარებისათვის საჭირო აღჭურვილობითა და მედიკამენტებით;
- მშობიარობამდე 0,5-1 სთ ადრე აუცილებელია, სხივური გამათბობლის სამუშაო რეჟიმში მოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ტემპერატურას იმ არეში, სადაც საჭიროების შემთხვევაში ტარდება ახალშობილის პირველადი რეანიმაციის (მოვლის) პროცედურები;
- საფენი, რომელშიც ხდება ახალშობილის მიღება უნდა იყოს თბილი, სითბოს დაკავის პრევენციის მიზნით;

- ახალშობილის მდგომარეობის შეფასება და მოვლის პროცედურები სიცოცხლის პირველ წუთებში უნდა განხორციელდეს დედის სხეულზე (კანი კანთან კონტაქტი) ან სხივური გამათბობლის ქვეშ (რეანიმაციის საჭიროების შემთხვევაში);
- სამედიცინო პერსონალს, რომელიც მონაწილეობს ახალშობილის მიღების, შეაფასებისა და მოვლის პროცედურების განხორციელებაში უნდა ეცვას ხელთათმანები.

ახალშობილის მოვლისთვის აუცილებელი აღჭურვილობა სამშობიარო ბლოკში 3.5

- ახალშობილის მაგიდა სხივური გამათბობლით;
- თბილი საფენები;
- თბილი ქუდი, წინდები და დასაფარებელი;
- კედლის საათი წამზომით;
- ოთახის ჰაერის თერმომეტრი;
- აღჭურვილობა ზედა სასუნთქი გზების სანაციისთვის;
- აღჭურვილობა ახალშობილის რეანიმაციისათვის (იხ. ახალშობილთა რეანიმაციის გაიდლაინი);
- ელექტროთერმომეტრი ან ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი, რომელზეც შესაძლებელია დაფიქსირდეს 35⁰ C–ზე დაბალი ტემპერატურა;
- ძირითადი პრეპარატები (მედიკამენტები რეანიმაციისათვის, ვიტამინი K და თვალის მალამო, ანტისეპტიკური ხსნარი).

ახალშობილის შეფასება 3.5

ყველა ახალშობილთან დაბადებისთანავე, ჭიპლარის გადაჭრამდე, აუცილებელია რეანიმაციის საჭიროების შეფასება.

ახალშობილთა რეანიმაციის საჭიროება განისაზღვრება მშობიარობისთანავე 4 ძირითად შეკითხვაზე პასუხით:

- ახალშობილი დროულია?
- სანაყოფე სითხე სუფთაა?
- სუნთქავს ან ტირის?
- კუნთთა ტონუსი კარგია?

ოთხივე კითხვაზე დადებით პასუხის შემთხვევაში ახალშობილი არ საჭიროებს რეანიმაციას და ტარდება სტანდარტული მოვლის პროცედურა. 4 კითხვიდან, თუნდაც ერთ კითხვაზე უარყოფითი პასუხი რეანიმაციის საჭიროებაზე მიუთითებს. (იხ. გაიდლაინი - ახალშობილთა რეანიმაცია სამშობიარო ბლოკში).

მოვლის პროცედურები სამშობიარო ბლოკში

- ⇒ სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა;
- ⇒ სითბოს დაკარგვის პრევენცია;
- ⇒ ჭიპლარის გადაჭრა;
- ⇒ აპგარის შკალით შეფასება;
- ⇒ კანი-კანთან კონტაქტი და I მოჭიდება;

- ⇒ კონიუქტივიტის პროფილაქტიკა;
- ⇒ ჰემორაგიული დაავადების პროფილაქტიკა;
- ⇒ ანთროპომეტრია.

სამშობიარო ბლოკში სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფისა და სითბოს დაკარგვის პრევენციის თითოეული საფეხური ერთმანეთის მონაცვლელობით ტარდება (იხ. პროტოკოლი).

სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა 4.5

სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა დამოკიდებულია სეკრეტის რაოდენობაზე. სასუნთქი გზების სანაციის რუტინულად ჩატარება ყველა შემთხვევაში არ არის აუცილებელი.

- თუ სეკრეტის რაოდენობა უმნიშვნელოა, უმჯობესია, ბავშვის გვერდით პოზიციაში მოთავსება რამდენიმე წუთით, სეკრეტი გროვდება ლოყის მიდამოში და თავისუფლად გადმოედინება პირის ღრუდან, ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი სანაციის ჩატარება;
- თუ ბავშვი დაბადებისთანავე თავსდება დედის გულმკერდზე, ბუნებრივად ხდება ლორწოს დრენირება (სეკრეტი თვითონ გადმოედინება);
- ჭარბი სეკრეტის შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს ზერელე სანაცია:

⇒ ზერელე სანაციის დროს ბავშვის თავი გვერდით უნდა იყოს გადაწეული. სანაცია ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ პირი, შემდეგ ცხვირი.

⇒ სანაცია ტარდება სტერილური რეზინის ბალონით ან მექანიკური ასპირატორის 8-10 Fr კათეტერით. უარყოფითი წნევა არ უნდა აღემატებოდეს 100 მმ ვწყ.სვ; იმ შემთხვევაში, როდესაც სანაყოფე სითხე სუფთაა უპირატესობა ენიჭება სანაციისათვის სტერილური რეზინის ბალონის გამოყენებას. თუ გამოიყენება კათეტერი სანაციის დრო არ უნდა იყოს 5 წმ-ზე მეტი.

არ არის რეკომენდებული დრმა სანაციის ჩატარება. დრმა სანაცია იწვევს ხახის უკანა კედლის გაღიზიანებას, ცთომილი ნერვის აღგზნებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს ბრადიკარდიისა და აპნოეს განვითარება⁵.

სითბოს დაკარგვის პრევენცია 3-9,86-87

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით ჰიპოთერმიის რისკის შემცირების მიზნით, ყველა ახალშობილთან აუცილებელია “თბილი ჯაჭვის” 10 საფეხურის დაცვა:

1. თბილი სამშობიარო ბლოკი (25-28°C), ბავშვის მაგიდა და საწოლი უნდა იყოს ფანჯარას მოცილებული;
2. სწრაფი გამშრალება და სველი საფენის მოშორება; თავზე მიზანშეწონილია ქუდის დახურვა, რადგან სწორედ თავიდან ხდება ყველაზე მეტი რაოდენობით სითბოს დაკარგვა;
3. კანი-კანთან კონტაქტი - შიშველი ჯანმრთელი ახალშობილის დედის სხეულზე მოთავსება (ზემოდან საბნის დაფარება), სითბოს დაკარგვის პრევენციის იდეალური მეთოდია (რეკომენდაცია A)⁹; A

4. ძუძუთი კვება – ადრეული დაწყება და მოთხოვნებილი კვება უზრუნველყოფს ბავშვს სათანადო კალორიებით, რათა მან მოახერხოს სითბოს წარმოქმნა;
5. აბაზანის გადავადება – ბავშვის დაბანა დაბადებისთანავე იწვევს მისი სხეულის ტემპერატურის მკვეთრ დაქვეითებას, ამიტომ საჭიროა აბაზანისგან თავის შეკავება, სანამ არ მოხდება ახალშობილის სხეულის ტემპერატურის სტაბილიზაცია (მინიმუმ 6 საათი, ან ტემპერატურის სტაბილიზაციიდან 2-4 საათი) (**მტკიცებულია I დონე I**)⁹. აწონვის გადავადება – ბავშვის აწონვა მიზანშეწონილია დაბადებიდან 2 სთ-ში, სასწორზე უნდა მოთავსდეს წინასწარ შემთბარი საფენი;
6. სათანადო ტანსაცმლისა და საბნის შერჩევა;
7. დედის და ბავშვის ერთად ყოფნა;
8. თბილი ტრანსპორტი – თუ ბავშვს სჭირდება ტრანსპორტირება, აუცილებელია ამ დროს სითბოს უზრუნველყოფა;
9. სითბო რეანიმაციის დროს - ბავშვის მიღება წინასწარ შემთბარ საფენში, მისი მოთავსება 0,5-1 საათით ადრე ჩართული სხივური გამათბობლის ქვეშ, გამშრალება და სველი საფენის მოშორება, თავზე ქუდის დახურება, რეანიმაციისათვის თბილი ტენიანი ჟანგბადის გამოყენება;
10. მედპერსონალის განათლება.

ჭიპლარის დამუშავება^{12-20,87}

ჯანმოს მიერ რეკომენდებულია ჯანმრთელ ახალშობილებთან ჭიპლარის გადაჭრა სიცოცხლის პირველ წუთზე აბგარის შკალით შეფასებამდე^{4,14}.

ჭიპლარის გადაჭრა პირველ წუთზე ხელს უწყობს პლაცენტიდან დამატებითი სისხლის გადასვლას ახალშობილის ორგანიზმში და იცავს მას სიცოცხლის პირველ წელს რკინადეფიციტური ანემიის განვითარებისაგან^{3,4}. თუ ახალშობილს ესაჭიროება პირველადი რეანიმაცია ჭიპლარი იჭრება პირველ 10 წმ-ში⁵. ჭიპლარის ერთ წუთზე უფრო გვიან გადაჭრის შემთხვევაში მაღალია ჰიპერვოლემიისა განვითარების რისკი, რაც თავის მხრივ იწვევს სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების დარღვევას.

- ჭიპლარს გადაჭრამდე ედება 2 ქირურგიული მომჭერი. პირველი - ჭიპის რგოლიდან 2 თითის (3-4სმ) ზემოთ უნდა მოთავსდეს, ხოლო მეორე – ჭიპის რგოლიდან 4 თითის დაშორებით⁴;
- ჭიპლარს ეხვევა მარლის საფენი, რომ გადაჭრისას არ მოხდეს სისხლით დასვრა;
- უკანასკნელი მონაცემებით რეკომენდებულია პლასტმასის მომჭერის გამოყენება. მისი არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ელასტიური ლიგატურას გამოყენება;
- ჭიპლარის გადაკვანძისათვის არ შეიძლება არაელასტიური მასალის გამოყენება, ვინაიდან დაახლოებით 1 სთ-ის შემდეგ ჭიპლარის ქსოვილი მცირდება მოცულობაში, ლიგატურა ეშვება და მაღალია სისხლდენის განვითარების და ინფიცირების რისკი;
- გადაჭრა ხდება სტერილური ლანცეტით ან მაკრატელით;

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით მიზანშეწონილია ჭიპლარის მშრალი მოვლა, საპნითა და წყლით გასუფთავება საჭიროა მხოლოდ მისი შარდით და განავლით დაბინძურებისას (**მტკიცებულების დონე D**)^{4,14}. თუმცა იმ ქვეყნებში სადაც მაღალია ჭიპლარის ბაქტერიული კონტამინაციის რისკი დასაშვებია მისი დამუშავება ანტისეპტიური ხსნარით. ამ მიზნით გამოიყენება ქლორჰექსიდინი ან პოვიდონ-იოდიინის ხსნარი **12-20**.
- არ არის რეკომენდებული ჭიპლარის ტაკვზე ნახვევის დადება, ახალშობილის ინფიცირების რისკის შემცირებისა და ჭიპლარის ტაკვის სწრაფი მუმიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით^{4,14}. ჭიპლარის ტაკვი არ უნდა მოხვდეს ბავშვის ერთჯერადი საფენის ქვეშ^{4,14}. თავისუფლად უნდა მოთავსდეს ტანსაცმლის ქვეშ.

შეფასება აპგარის შკალით^{4,5}

აპგარის შკალა მრავალი წელია გამოიყენება ახალშობილის ადაპტაციის შესაფასებლად სიცოცხლის პირველ წუთებში. აპგარის შკალით შეფასება ტარდება სიცოცხლის პირველ და მეხუთე წუთზე. ნორმის შემთხვევაში აპგარით შეფასება უნდა იყოს 7-10 ქულა. I წუთზე აპგარის ქულა გვიჩვენებს ახალშობილის საწვის სტატუსს. ხოლო შემდეგი შეფასების ქულები მიუთითებენ თუ რამდენად ადექვატურად პასუხობს ახალშობილი სამედიცინო პერსონალის მიერ ჩატარებულ ქმედებებს და შესაძლებელია გამოყენებული იყოს ნევროლოგიური გამოსავლის შესაფასებლად.

აპგარის შკალა არ გამოიყენება რენიმაციის საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ტარდება ახალშობილის პირველადი რენიმაცია აპგარით შეფასება იწყება 1 წუთზე და მეორდება ყოველ 5 წუთში ერთხელ 20 წთ-ის განმავლობაში.

აპგარის შკალა

ვიტალური ფუნქციები	ქულები		
	0	1	2
სუნთქვა	არ არის	არარეგულარული, იშვიათი	რეგულარული
გულისცემის სინშირე	არ არის	< 100	>100
კუნთთა ტონუსი	ჰიპოტონია	კიდურების სუსტი ფლექსია (მოხრა)	აქტიური მოძრაობა
კანის ფერი	სიფერმკრთალე/ციანოზი	აკროციანოზი	ვარდისფერი
რეაქცია ცხვირში კათეტერის შეყვანაზე	რეაქცია არ არის	სახის გრიმასი	ძლიერი ტირილი, ხველა, ცემინება

კანი კანთან კონტაქტი და ძუძუთი კვების ადრეული დაწყება (იხ. ძუძუთი კვების გაიდლაინი)

კანი-კანთან კონტაქტი გულისხმობს შიშველი ახალშობილის (ახალშობილს თავზე უნდა ეხუროს ქუდი და ეცვას წინდები) მოთავსებას დედის გულმკერდზე, აუცილებელია დედას და ბავშვს ეფაროს საბანი. **ჯანმრთელი, დროული ახალშობილის კანი-კანთან კონტაქტი დედასთან უნდა განხორციელდეს ფიზიოლოგიური მშობიარობისთანავე და გაგრძელდეს არანაკლებ 30 წუთისა, ჯანმოს რეკომენდაციით სასურველია ჯანმრთელი ახალშობილი დედის სხეულზე იწვეს 2 სთ-ის განმავლობაში^{421,86-87}.**

კანი-კანთან კონტაქტის დროს არ არის მიზანშეწონილი დედა-შვილის უყურადღებოდ დატოვება. შესაძლებელია თავდგმური ოჯახის წევრი იყოს.

საკეისრო კვეთის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს ახალშობილის კანი-კანთან კონტაქტი მამასთან.

- კანი-კანთან კონტაქტის პროცესში აუცილებელია ახალშობილის ძუძუზე პირველი მოჭიდების ხელშეწყობა, როცა ბავშვს გამოუვლინდება ძუძუთი კვების შესაბამისი მზაობის ნიშნები **(რეკომენდაცია - D) 22;**
- ძუძუთი კვება უნდა დაიწყოს ფიზიოლოგიური მშობიარობიდან 1 საათის განმავლობაში. არ არის რეკომენდებული ბავშვის იძულებით ან დაჩქარებული წესით ძუძუზე მოჭიდების განხორციელება;
- ზოგადი ნარკოზით საკეისრო კვეთის შემთხვევაში ძუძუთი კვება უნდა განხორციელდეს დედისა და ბავშვის სრული გამოფხიზლების შემდეგ (დაახლოებით 2-3 საათში).

D

კანი კანთან კონტაქტი და ძუძუთი კვების ადრეული დაწყება ხელს უწყობს: 421.

- ეფექტური წოვითი რეფლექსების ჩამოყალიბებას **(მტკიცებულების დონე II) 23,24** II
- ახალშობილის სხეულის ნორმალური ტემპერატურის შენარჩუნებას **(მტკიცებულების დონე I) 25-27** I
- დედისა და ახალშობილის მშობიარობის სტრესის მოხსნას;
- ბავშვის კანზე დედის მიკრობული ფლორის კოლონიზაციას;
- ლაქტაციის პროცესის სტიმულირებას **(მტკიცებულების დონე II) 28-32** II
- ოქსიტოცინის გამომუშავებას, საშვილოსნოს შეკუმშვას და ქალის დაცვას მშობიარობის შემდგომი სისხლდენისაგან **(მტკიცებულების დონე II) 33** II
- დედასა და ბავშვს შორის მჭიდრო ფსიქოემოციური კავშირის დამყარებას **(მტკიცებულების დონე II) 33,34** II
- ხსენის მიღებას პირველი ერთი საათის განმავლობაში და ახალშობილის ინფექციებისგან დაცვას **(რეკომენდაცია B) 31,34-37** B

ახალშობილის მონიტორინგი სამშობიარო ბლოკში^{4,14,38}

სიცოცხლის პირველი 2 სთ-ის განმავლობაში ყველა ახალშობილი, მათ შორის ჯანმრთელიც აუცილებლად საჭიროებს პერიოდულ მეთაველყურეობას. 15-30 წთ-ში ერთხელ უნდა შეფასდეს, ვიტალური ნიშნები:

- სუნთქვის სიხშირე
- გულისცემის სიხშირე
- კანის ფერი

სხეულის ტემპერატურა უნდა გაიზომოს დაბადებიდან 30 წთ-ში და 2 სთ-ში. თუ პირველი გასინჯვის შემდეგ ფიქსირდება დაბალი ტემპერატურა საჭიროა ბავშვის გათბობა და ტემპერატურის შედარებით ხშირი კონტროლი (იხ. ჰიპოთერმიის მართვის გაიდლაინი).

კონიუნქტივიტის პროფილაქტიკა^{4,38,39,87}

ახალშობილთა ოფთალმიის (გონოკოკური და ქლამიდიური კონიუნქტივიტი) პროფილაქტიკის მიზნით მშობიარობიდან ერთი საათის განმავლობაში ერთჯერადად გამოიყენება ტეტრაციკლინის 1% ან ერითრომიცინის 0,5% მალამო. მალამოს 0,5 სმ უნდა მოთავსდეს თვალის ქვედა ქუთუთოს კონიუნქტივის გარსზე, ქუთუთოზე თითების ნაზი მოძრაობით მალამო ნაწილდება კონიუნქტივაზე. 1 წუთის შემდეგ მალამოს ნარჩენი შეიძლება მოიწმინდოს სტერილური ტამპონით.

თვალის დამუშავებამდე უნდა განხორციელდეს კანი-კანთან კონტაქტი, რათა ახალშობილს მიეცეს შესაძლებლობა დაინახოს და აღიქვას დედა.

ჰემორაგიული დაავადების პროფილაქტიკა^{3,4,41-53,87}

- ახალშობილთა ჰემორაგიული დაავადების პრევენციის მიზნით რეკომენდებულია K ვიტამინის გამოყენება. K ვიტამინი მაღალი ეფექტურობით ხასიათდება და სარწმუნოდ იცავს ახალშობილს ჰემორაგიული დაავადებისაგან;
- K ვიტამინის გამოყენება მიზანშეწონილია დაბადებიდან 1-2 სთ-ის განმავლობაში.

შესაძლებელია K ვიტამინის ორალური ფორმის გამოყენება, რომლის მიცემა იწყება სამშობიარო სახლში და აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ბინაზე, დოზირება და სქემა ინსახლურება მწარმოებლის ინსტრუქციის მიხედვით. საქართველოში რეგისტრირებულია K₁ ვიტამინის ორალური ფორმა - "კა-ვიტ" (ფიტომენადიონი), რომელიც ჯანმრთელ დროულ ახალშობილში გამოიყენება დოზირების რეჟიმით:

I დოზა - სიცოცხლის I დღეს - "კა-ვიტ"-ის 2მგ (ანუ 2 წვეთი)

II დოზა - სიცოცხლის III დღეს - 2 მგ (ანუ 2 წვეთი)

III დოზა - სიცოცხლის მე-4 კვირიდან მე-6 კვირამდე პერიოდში - 2 მგ (ანუ 2 წვეთი).

უკანასკნელი წლების მონაცემებით უპირატესობა ენიჭება ვიტამინის შეყვანის პარენტერულ გზას⁴¹⁻⁵³, რადგან ის იცავს ახალშობილს როგორც ადრეული ასევე გვიანი ჰემორაგიული დაავადების განვითარებისგან, განსხვავებით ორალური ფორმისგან რომლის გამოყენებისას მაღალია გვიანი ჰემორაგიული დაავადების განვითარების რისკი.

ამერიკის პედიატრიის აკადემია უპირატესობას ანიჭებს K_1 ვიტამინის პარენტერულ გამოყენებას (დოზა – 0,5-1,0მგ), ვინაიდან იგი უშუალოდ მიიტანება და დეპონირდება ღვიძლში. საქართველოში აღნიშნული მედიკამენტი არ არის რეგისტრირებული, გამოიყენება ვიკასოლი (ვიტამინი K_3) 2 მგ. მისი შეყვანის ადგილია ბარძაყის კუნთის წინა ლატერალური მხარე. არ არის რეკომენდებული K ვიტამინის დუნდულოში გაკეთება, რაც ზრდის ნერვის ან სისხლძარღვის დაზიანების რისკს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ვიკასოლის მაღალმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ჰემოლიზი^{42,49,50}.

ახალშობილის მარკირება

ახალშობილის მარკირება ტარდება სამშობიარო ბლოკში მოვლის პროცედურების მსვლელობისას. დაბადებისას სამაჯურზე იწერება დედ-მამის გვარი, ისტორიის ნომერი, დაბადების დრო, სქესი. ტყუპების შემთხვევაში სამაჯურზე უნდა დაეწეროს I ტყუპი, II ტყუპი და ა.შ. ანთროპომეტრიის შემდეგ სამაჯურზე დამატებით ფიქსირდება შესაბამისი მაჩვენებლები.

ანთროპომეტრია

დაბადებიდან 2 საათში აუცილებელია ახალშობილის ანთროპომეტრული მონაცემების შეფასება:

- სხეულის მასა
- სხეულის სიგრძე
- თავის გარშემოწერილობა

(იხ. პროტოკოლი - ანთროპომეტრიის ტექნიკა)^{4,54-56}.

ახალშობილის სხეულის მასის შეფასება უნდა მოხდეს გესტაციურ ასაკთან მიმართებაში, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2500 გრამზე ნაკლები წონის ახალშობილებისათვის (იხ. პროტოკოლი - ახალშობილის ფიზიკური განვითარების შეფასება)⁴.

ახალშობილის ჩაცმა^{4,57}

ახალშობილი უნდა იყოს ჩაცმული, რომ მან თავი კომფორტულად იგრძნოს. ტანსაცმელი უნდა იყოს თავისუფალი, ნატურალური ბამბის ქსოვილის. თავზე უნდა ეხუროს თხელი ქუდი. არ არის მიზანშეწონილი ახალშობილის მჭიდროდ შეხვევა, რადგან:

- იზღუდება დიაფრაგმის მოძრაობა;
- ქვეითდება სისხლის ცირკულაცია;
- იზღუდება ახალშობილის თავისუფალი მოძრაობა;
- საფენსა და კანს შორის არსებული ჰაერის თხელი ფენა ვერ უზრუნველყოფს სითბოს შენარჩუნებას.

ახალშობილის პირველი სრული გასინჯვა 4,38,39,87

ახალშობილის სრული გასინჯვა მიზანშეწონილია ჩატარდეს სიცოცხლის 2 სთ-ის შემდეგ, კარგად განათებულ, თბილ ოთახში. პირველ რიგში ფასდება ახალშობილობის პერიოდის ზოგადი საშიშროების ნიშნები:

- ⇒ გულყრა;
- ⇒ ტაქიპნოე > 60-ზე;
- ⇒ ბრადიპნოე < 30-ზე;
- ⇒ სიყვითლე განვითარებული პირველ დღეს ან სიყვითლე ნებისმიერ დღეს, რომელიც ვრცელდება ტერფსა და მტკვანზე;
- ⇒ ლეთარგია;
- ⇒ ცხვირის ნესტოების ვიბრაცია;
- ⇒ გულმკერდის მკვეთრი რეტრაქცია;
- ⇒ სხეულის ტემპერატურის მომატება 38°C და მეტი;
- ⇒ სხეულის ტემპერატურა < 35°C-ზე;
- ⇒ კანის ფერის ცვლილებები: სილურჯე ან სიყვითლე, გამოსატული სიფერმკრთალე;
- ⇒ სისხლდენა ჭიპლარის ჭრილობიდან.

საშიშროების ნებისმიერი ნიშნის არსებობა მიუთითებს სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობის არსებობაზე, რაც საჭიროებს დამატებით გამოკვლევას და საჭიროებისას რეფერალის განხორციელებას.

გასინჯვისას უნდა შეფასდეს ანტე და ინტრანატალური ანამნეზი, ახალშობილის გესტაციური ასაკი და სიმწიფე, ვიტალური ფუნქციები, ინსპექციის, პალპაციის, პერკუსიის და აუსკულტაციის გამოყენებით ყველა ორგანო და სისიტემა. ახალშობილი უნდა დათვალიერდეს მთლიანად, ყურადღება უნდა მიექცეს დისემბრიოგენეზული სტიგმების და ანომალიების არსებობას. გასინჯვის მონაცემები უნდა დაფიქსირდეს ახალშობილის ისტორიაში, ანთროპომეტრული მონაცემები მასა, სიგრძე თავის გარშემოწერილობა გადატანილი უნდა იყოს შესაბამის დიაგრამაზე.

ყოველდღიური მოვლის პროცედურები სამშობიარო სახლის პოსტნატალურ პალატაში:

- ⇒ სახის, თვალის, ყურის, ცხვირის და კანის ტუალეტი;
- ⇒ ჭიპლარის ტაკის დამუშავება;
- ⇒ აწონვა;
- ⇒ დაბანა, ჩაბანვა;
- ⇒ იმუნიზაცია;
- ⇒ სკრინინგი.

ახალშობილი ვიტალური ფუნქციების შეფასება და გასინჯვა პოსტნატალურ პალატაში 4,38,39,87

თითოეულ ახალშობილს ყოველდღიურად უტარდება სასიცოცხლო ფუნქციების მარტივი მონიტორინგი. ფასდება გულისცემისა (ნორმა 120-160) და სუნთქვის სიხშირე (ნორმა 40-60), ტემპერატურა (36,5⁰-37,5⁰C), კანის ფერი. ყოველდღიურად ტარდება გასინჯვა და ფასდება ახალშობილობის ზოგადი საშიშროების ნიშნები (გარდა იმ ნიშნებისა რაც ფასდება I გასინჯვის დროს დამატებით უნდა

შეფასდეს, ხომ არ არის გამოხატული შემდეგი ნიშნები - სისხლი განავალში, შეუპოვარი ღებინება, ჭიპის რგოლის გარშემო სიწითლე და შეშუპება, რომელიც ვრცელდება 1 სმ და მეტ დიამეტრზე, ჩირქი, უსიამოვნო სუნი, ვერ იღებს საკვებს).

გაწერის წინ აუცილებელია ახალშობილის სრული გასინჯვა.

მნიშვნელოვანია სამშობიაროში ახალშობილის დიურეზისა და დეფეკაციის კონტროლი.

ახალშობილის დიურეზი³⁸

- დაბადებიდან პირველი სამი დღის განმავლობაში შარდვის სიხშირე 6-ზე ნაკლებია ფიზიოლოგიური ანურიის გამო;
- ახალშობილის შარდვის სიხშირე 3-4 დღის შემდეგ უნდა იყოს მინიმუმ 6-ჯერადი 24 საათში;
- თუ შარდვის სიხშირე 6-ჯერზე ნაკლებია, სავარაუდოა არაეფექტური ძუძუთი კვება (ის ძუძუთი კვების გაიდლაინი);
- თუ 24 საათის განმავლობაში არ გამოიყო შარდი საჭიროა:
 - ⇒ მუცლისა და გენიტალიების განმეორებით გასინჯვა;
 - ⇒ კვების ეფექტურობის შეფასება;
 - ⇒ შარდის ბუშტის კათეტერიზაცია და შარდის ანალიზის ჩატარება;
 - ⇒ სპეციალისტის კონსულტაცია და რეფერალი ჰოსპიტალში.

ახალშობილის დეფეკაცია³⁸

- მეკონიუმის გამოყოფა უნდა დაიწყოს 24 სთ-ს განმავლობაში. დაბადებიდან რამდენიმე დღე ახალშობილი გამოყოფს მეკონიუმს, რომელსაც მუქი მწვანე ფერი და წებოვანი კონსისტენცია აქვს. მე-4-5 დღისთვის განავლის მწვანე შეფერილობა იცვლება მოყვითალო შეფერილობით. ნაწლავთა მოქმედება ძუძუთი კვებაზე მყოფ ზოგიერთ ახალშობილს აქვს ყველა კვების შემდეგ, ზოგიერთს კი დღეში ერთხელ ან რამდენჯერმე.
- თუ განავლის გამოყოფა არ ხდება საჭიროა:
 - ⇒ მუცლისა და გენიტალიების განმეორებით გასინჯვა;
 - ⇒ კვების ეფექტურობის შეფასება;
 - ⇒ თუ 48 სთ-ის შემდეგ კვლავ არ გამოიყოფა განავალი, საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება;
 - ⇒ სპეციალისტის კონსულტაცია და რეფერალი ჰოსპიტალში.

სახის, თვალის, ყურის, ცხვირის და კანის ტუალეტი პროტნატალურ პალატაში 38,39,56,58-68

ახალშობილის ყოველდღიური ტუალეტი ტარდება დილით კვების წინ:

- სახის დაბანა და თვალის ტუალეტი - თითოეული თვალის დასა-მუშავებლად გამოიყენება სტერილურ წყალში დასველებული ტამპონი;

- ყურის გაწმენდა ბამბის ფთილით - დაუშვებელია ამ მიზნით ბამბადახვეული ჩხირის გამოყენება;
- ცხვირის გასუფთავება ბამბის ტამპონის ბრუნვითი მოძრაობით, ქერქების არსებობისას ტამპონი დასველებული უნდა იყოს ვაზელინის ზეთში. თუ ახალშობილს აღენიშნება ცხვირის გაჭედვა და ძნელდება სუნთქვა, მიზანშეწონილია თბილი ფიზიოლოგიური ხსნარის ან ნატრიუმის ბიკარბონატის 2%-იანი ხსნარის გამოყენება (2 წვეთი);
- საფენებით გამოწვეული დერმატიტის პრევენციის მიზნით საჭიროა **I,II** (მტკიცებულების დონე I-II) ^{10,65-68}.

⇒ საფენების ხშირი გამოცვლა;

⇒ ბავშვის ჩაბანა ყველა დეფეკაციის შემდეგ. ჩაბანვა საჭიროა ყოველი საფენის გამოცვლის შემდეგ. გოგონა ჩაიბანება **I,II** წინიდან-უკანა მიმართულებით. ჩაბანვის შემდეგ აუცილებელია კანის საგულდაგულოდ გამშრალება (მტკიცებულების დონე I, II-2) ⁵⁸⁻⁶². თუ არ არის ჩაბანის საშუალება შესაძლებელია კანის გაწმენდა სპეციალური სველი ხელსახოცით.

⇒ ბავშვის პუდრის რუტინული გამოყენება კანის დასამუშავებლად არ არის რეკომენდებული (მტკიცებულების დონე I – III) ⁶³⁻⁶⁴.

⇒ საფენების დერმატიტის დროს საჭიროა მიზეზის დადგენა, კანის დაცვა თუთიის ოქსიდის შემცველი მაღამოთი (მტკიცებულების დონე III) ¹⁰.

⇒ თუ საფენების დერმატიტი განპირობებულია Candida albicans-ით, საჭიროა ანტიფუნგალური მაღამოს გამოყენება, **III** ეფექტურია ჰაერის და სინათლის ზემოქმედებაც (მტკიცებულების დონე III) ¹⁰.

⇒ საფენების დერმატიტის დროს ანტიბიოტიკის შემცველი მაღამოს რუტინული გამოყენება არ არის რეკომენდებული.

ჭიპლარის დამუშავება კოსტნატალურ კალატაში 12-20

მეტად მნიშვნელოვანია:

- ჭიპის არის სისუფთავის და სიმშრალის უზრუნველყოფა, თუ ჭიპი დაბინძურდა შარდით და განავლით, შესაძლებელია მისი გასუფთავება **I,II** სტერილური წყლით ან საპნიანი წყლით. (მტკიცებულების დონე I,II,) ¹⁰
- ჯანმოს რეკომენდაციით საჭიროა ჭიპლარის მშრალი მოვლა, ჭიპლარის ტაკვი არ უნდა მოხვდეს ბავშვის ერთჯერადი საფენის ქვეშ^{4,14}. განვითარებად ქვეყნებში სადაც მაღალია ომფალიტის განვითარების რისკი ჭიპლარის დასამუშავებლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ანტისეპტიკური ხსნარები (ქლორჰექსიდინი და პოვიდონ იოდინი) (მტკიცებულების დონე II) ^{54,65}.
- არ არის რეკომენდებული ჭიპის არის შეხვევა ან მასზე პლასტირის დაწებება⁶⁶.

მიზანშეწონილია პერსონალის და ოჯახის წევრების ინფორმირება ჭიპლარის შეხორცების მექანიზმის შესახებ და ჭიპის მოვლის პრინციპებზე (მტკიცებულების დონე I)^{10,66}.

1. ჭიპის დამუშავებამდე ხელების დაბანა;
2. ჭიპის სისუფთავის და სიმშრალის უზრუნველყოფა;
3. ჭიპის ტაკვის დაცვა შარდისა და განავლის ნაწილაკებისგან.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ბავშვი ეწერება ბინაზე ჭიპლარის ტაკვით. კვლევები ადასტურებენ, რომ აღნიშნული ტაქტიკა მკვეთრად ამცირებს ინფიცირების რისკს^{4,14}. თუმცა, ასეთი ბავშვების ბინაზე მოვლა პირველადი ჯანდაცვის რგოლის სპეციალისტების ინფორმირებასა და შესაბამის მომზადებას საჭიროებს.

ახალშობილის დაბანა^{4,14,69-73}

- არ არის რეკომენდებული ახალშობილის დაბანა დაბადებისთანავე, ეს ზრდის ჰიპოთერმიის რისკს^{4,14}
- ახალშობილის პირველი დაბანა უნდა განხორციელდეს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ახალშობილის სხეულის ტემპერატურის სტაბილიზაცია, დაბადებიდან 6-24 საათის შემდეგ (მტკიცებულების დონე I)^{8,10,72-73} პერსონალის და ახალშობილის უსაფრთხოების მიზნით ახალშობილის პირველი დაბანა უნდა განხორციელდეს ხელთათმანებით (მტკიცებულების დონე I)³⁸
- არ არის რეკომენდებული საცხის მთლიანად მოცილება, საცხი იცავს ბავშვს ინფექციებისგან და სითბოს დაკარგვისაგან. (მტკიცებულების დონე III)^{10,69-70}
- ახალშობილის დაბანისას არ არის რეკომენდებული საპნის რუტინული გამოყენება. უმჯობესია გამოყენებული იყოს ნეიტრალური pH ის მქონე დასაბანი გელი ^{60,65,71}
- წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 37-38°C: (მტკიცებულების დონე I – II)¹⁰
- დაბანის შემდეგ ახალშობილი მაშინვე კარგად უნდა გამშრალდეს, შემოეხვიოს 2 საფენი, დაეხუროს ქუდი დაახლოებით 5-10 წთ-ში მას უნდა ჩააცვან და შეუცვალონ ქუდი (მტკიცებულების დონე I) ¹⁰
- დედას უნდა ასწავლონ როგორ დაბანოს ახალშობილი სამშობიაროდან გაწერის შემდეგ და დაიცვას უსაფრთხოების წესები. მშობლებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ ვერტიკალური აბაზანა (ბავშვი მთელი სხეულით თავსდება წყალში, დაფარულია მხრები – სპეციალური აბაზანა) არის ბავშვის კომფორტის და ჰიგიენის დაცვის უსაფრთხო და ეფექტური მეთოდი (მტკიცებულების დონე I)^{10,69}

აწონვა 38,39

სამშობიარო სახლში მიზანშეწონილია ბავშვის ყოველდღიური აწონვა მასის ფიზიოლოგიური კვების კონტროლის მიზნით (იხ. ფიზიკური განვითარების გაიდლიანი და პროტოკოლი).

იმუნიზაცია⁴

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული იმუნიზაციის ეროვნული კალენდრის შესაბამისად სამშობიარო სახლში ახალშობილს დაბადებიდან 12 სთ-ში უტარდება **B** ჰეპატიტის, სიცოცხლის მე-2-5 დღეს კი – ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (იხ. იმუნიზაციის ბრძანება).

B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

ახალშობილებში მაღალია **B** ჰეპატიტით ინფიცირების სიხშირე (70-90 %-მდე) ვერტიკალური ტრანსმისიის გზით. თუ ინფიცირებული დედის ახალშობილი დაბადებისთანავე არ მიიღებს **B** ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინას და სპეციფიკურ იმუნოგლობულინს იგი 90%-ში ხდება **B** ჰეპატიტის ვირუსის ქრონიკული მტარებელი და მათგან შემთხვევათა 50-70 %-ში ვითარდება ღვიძლის ციროზი და ციროზ-კიბო.

თუ ინფიცირებული დედის ახალშობილს დაბადებისთანავე გაუკეთდება **B** ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინი და ჩაუტარდება ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის სრული კურსი (3 აცრა), 95-98% ვითარდება მყარი იმუნიტეტი.

თუ ორსულს ანტენატალური ვიზიტის დროს (12-13 კვირა) ჩატარებული აქვს სკრინინგი **B** ჰეპატიტზე და სკრინინგის პასუხი დადებითია ტარდება კონფირმაციული ტესტი.

- თუ ტესტი უარყოფითია – ახალშობილს დაბადებიდან პირველ 12 საათში უტარდება მხოლოდ **B** ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია **HB-VAX II** დოზა - 5 მკგ (0.5 მლ);
- თუ ტესტი დადებითია ახალშობილს ვაქცინაციასთან ერთად უკეთდება სპეციფიკური იმუნოგლობულინი (დოზა 40 სე/კგ-ზე. მაქსიმუმ 200 სე).

B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია და იმუნოგლობულინის შეყვანა ხდება ერთდროულად სხვადასხვა ფეხის ბარძაყის წინა ლატერალურ ზედაპირზე, დაბადებიდან პირველ 12 საათში (იხილეთ იმუნიზაციის ბრძანება და დანართი).

BCG ვაქცინაცია

ტუბერკულოზის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა ახალშობილის **BCG** ვაქცინაცია. ვაქცინაცია ტარდება საქართველოს აცრის კალენდრის შესაბამისად სიცოცხლის მე-2-5 დღეს, ბავშვის სამშობიარო სახლიდან გაწერამდე.

ვაქცინაცია ტარდება ტუბერკულინის შპრიცით დოზით 0,05 მლ, კანში, მხრის ზედა მესამედში. დაუშვებელია საინექციო არის დამუშავება ანტისეპტიკით (იხილეთ იმუნიზაციის ბრძანება და დანართი).

სპრინტონი

ახალშობილის სიცოცხლის მე-4-5 დღეს სამშობიარო სახლში ტარდება სკრინინგი ფენილკეტონურიასა და ჰიპოთირეოზზე. სისხლის აღება ხდება ქუსლიდან სპეციალურ საშრობ ქაღალდზე. მასალა იგზავნება შესაბამის ლაბორატორიაში სადიაგნოსტიკოდ. სისხლის მოცემულ ვადაზე ადრე აღების შემთხვევაში მაღალია ცრუ დადებითი პასუხების რისკი.

დედის და ახალშობილის ერთად ყოფნა 4.38

სამშობიარო სახლში დედა და ახალშობილი (მათ შორის საკეისრო კვეთის შემთხვევაში) დღისით და ღამით ერთ პალატაში უნდა იმყოფებოდეს, გარდა იმ პერიოდისა, რომელიც საჭიროა სხვადასხვა ჰიგიენური, თუ სამედიცინო პროცედურების ჩატარებისათვის.

დედა-ბავშვის ერთად ყოფნა⁴:

- საშუალებას აძლევს დედას კვების ბავშვი როცა იგი ამულანებს შიმშილის ნიშნებს, მისი მოთხოვნების შესაბამისად (იხ. ძუძუთი კვების და ბაკსის გაიდლაინი);
- ხელს უწყობს დედისა და ბავშვის მჭიდრო ფსიქო-ემოციური კავშირის დამყარებას, დედობრივი გრძნობის ჩამოყალიბებას⁷⁴⁻⁷⁹;
- დადებითად აისახება დედის დამოკიდებულებაზე ძუძუთი კვებისადმი⁶⁵
- აუმჯობესებს ძუძუთი კვების პროცესს⁸⁰⁻⁸¹
- ამცირებს ბავშვთან ინფექციის განვითარების რისკს⁸²⁻⁸³
- ხელს უწყობს ძუძუთი კვების ხანგრძლივობის გაზრდას და ძუძუთი კვების ეფექტურ განხორციელებას ზრდის ძუძუთი კვების სიხშირეს და ამცირებს ქალის რძის შემცველების დამატების საჭიროებას;
- შესაძლებელია მხოლოდ უმნიშვნელოდ დაირღვეს დედის ძილი, მაგრამ უმჯობესდება ბავშვის ძილი, ბავშვები უფრო მშვიდად არიან და ნაკლებად ტირიან (**მტკიცებულების დონე II**);
- დედისა და ბავშვის ერთად ყოფნა წარმოადგენს აუცილებელ პირობას მოთხოვნებითი ძუძუთი კვების წარმატებით განხორციელებისთვის (**მტკიცებულების დონე I**).

II

I

ბარემო 4.38,84

პოსტნატალურ პალატაში ტემპერატურა არ უნდა იყოს 25⁰ C-ზე ნაკლები. პალატაში უნდა იყოს მაგიდა მოვლის სხვადასხვა პროცედურის ჩასატარებლად. სასურველია პალატაში იყოს სველი წერტილი. ბავშვის ლეიბი უნდა იყოს მაგარი. არ შეიძლება ბალიშის გამოყენება.

